ხელშეკრულება № 5
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ბათუმი **20 იანვარი, 2025 წელი**

ერთის მხრივ, **შპს ბათუმის წყალი** (შემდგომში – შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის **ალექსანდრე მჟავანაძის** სახით და მეორეს მხრივ, **შპს „ედისონ სთორი“** (შემდგომში - მიმწოდებელი), წარმოდგენილი მისი დირექტორის **ნიკოლოზ სიხარულიძის** სახით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და მიმწოდებლის სატენდერო წინადადების საფუძველზე, **NAT240024935** აუქციონის გარეშე ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. შესყიდვის ობიექტი

1.1. შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს: **ძალოვანი ტრანფორმატორების** (CPV31100000 - ელექტროძრავები, გენერატორები და ტრანსფორმატორები, CPV31174000 - ენერგომომარაგების ტრანსფორმატორები) (შემდგომში „საქონელი“), ხელშეკრულების პირობების, დანართი №1-ის შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს;

1.2. შესყიდვის ობიექტის დეტალური აღწერა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს;

1.3. შესყიდვის ობიექტის ტექნიკური პარამეტრები, რაოდენობა, ერთეულის ფასი და საერთო ღირებულება მოცემულია დანართი N1-ში რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **25`777.00 (ოცდახუთიათას შვიდასსამოცდაჩვიდმეტი)** ლარს;

2.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

მუხლი 3. საქონლის მიწოდების ვადა, ადგილი და ფორმა

3.1 საქონლის მიწოდების ადგილია - შპს ,,ბათუმის წყალის“ მეჯინისწყლის სასაწყობე მეურნეობა;

3.2 **პრეტენდენტმა საქონლის მიწოდება უნდა უზრუნველყოს 2025 წლის 1 მარტის ჩათვლის პერიოდის განმავლობაში;**

3.3 საქონელი უნდა იყოს ახალი, ექსპლოატაციაში არმყოფი, უნდა იყოს დამზადებული ქარხნული წესით და ქარხნული შეფუთვით; საქონელი უნდა იყოს ისე შეფუთული რომ დაიცვას ის დაზიანებისაგან;

3.4 მოწოდებულ საქონელს უნდა ახლდეს მწარმოებლის მიერ გაცემული ტექნიკური პასპორტი (ქართულ ან/და ინგლისურ ან/და რუსულ ენაზე), სადაც მითითებული იქნება აღნიშნული საქონლის ტექნიკური მახასიათებლები;

3.5 **საქონლის მიწოდებისას წარმოდგენილი უნდა იყოს ძალოვანი ტრანსფორმატორების შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ლაბორატორიის ლაბორატორიული შემოწმების აქტი;**

3.6 მიმწოდებელი საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიწოდებული საქონლის გადმოტვირთვას და შემსყიდველის მიერ მითითებულ ადგილზე დასაწყობებას;

მუხლი 4. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

4.1. საქონელი მიწოდებულად ჩაითვლება მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, რომელიც დადასტურდება მხარეების ან მათი წარმომადგენლების (უფლებამოსილი პირების) ხელმოწერით;

4.2. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს განახორციელებენ და მიწოდებული საქონლის მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ, უფლებამოსილ პირებს წარმოადგენენ: შპს ,,ბათუმის წყალის“ ელექტრო-მექანიკური მოწყობილობების ექსპლუატაციის განყოფილების უფროსი **როსტომ ბერიძე** ან მისი მოვალეობის შემსრულებელი; შპს ,,ბათუმის წყალის“ მატერიალური უზრუნველყოფის განყოფილების წამყვანი სპეციალისტი **დავით ზოიძე** ან მისი მოვალეობის შემსრულებელი;

4.3. ამ მუხლის მეორე პუნქტით გათვალისწინებული პირების ფუნქციაა საქონლის მიწოდების ვადების, მიწოდებული საქონლის რაოდენობის, ტექნიკური მახასიათებლებისა და ხარისხის ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

4.4. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრა, ან/და წუნდებული საქონლის შეცვლა.

მუხლი 5. ანგარიშსწორება

5.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში. ფაქტიურად მიწოდებული საქონლის შესაბამისად გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის, სასაქონლო ზედნადების და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საფუძველზე;

5.2 ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ ანგარიშსწოებისათვის საჭირო დოკუმენტაციის წარდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში, მიმწოდებლის მიერ მითითებული რეკვიზიტების მიხედვით;

5.3 **დაფინანსების წყარო: შპს „ბათუმის წყალის“ 2025 წლის კუთვნილი სახსრები;**

№6 საგარანტიო პირობები

6.1 საქონლის ექსპლუატაციის საგარანტიო ვადა შეადგენს 24 (ოცდაოთხი) თვეს, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღიდან. საგარანტიო პერიოდის განმავლობაში დეფექტის გამოვლენის შემთხვევაში მიმწოდებელი უზრუნველყოფს წუნდებული საქონლის შეცვლას ან შეკეთებას 10 სამუშაო დღის ვადაში;

6.2 მიმწოდებელი განახორციელებს შეცვლასთან და შეკეთებასთან დაკავშირებულ ყველა მოქმედებას საკუთარი ძალებით და საშუალებებით, შემსყიდველის მხრიდან ყოველგვარი დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე, შეტყობინების მიღებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში;

მუხლი 7. მხარეთა უფლება-მოვალეობები

7.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

ა) შეამოწმოს მიწოდებული საქონლის მახასიათებლების შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;

ბ) რაიმე ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში, აცნობოს და მოსთხოვოს მიმწოდებელს ნაკლის დაუყონებლივ გამოსწორება;

გ) მოითხოვოს მიმწოდებლისაგან ხელშეკრულების ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება;

7.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიმწოდებლთან ანგარიშსწორება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

7.3. მიმწოდებელს უფლება აქვს მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების შესრულება;

ბ) იმ შემთხვევაში თუ მიწოდებული საქონელი არ შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს, საკუთარი სახსრებით აღმოფხვრას არმოჩენილი ხარვეზი ან განახორციელოს წუნდებული საქონლის შეცვლა შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

მუხლი 8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების ან დამატების შეტანა შესაძლებელია მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი ფორმით;

8.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

8.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

8.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

8.5. მხარე ვალდებულია 8.4. პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ, არანაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე, ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე, წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს;

8.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

მუხლი 9. მხარეთა პასუხისმგებლობა

9.1. მხარეები კისრულობენ ვალდებულებას აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის ან/და არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანი, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით;

9.2. **ხელშეკრულების ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესასრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.**
9.3. შემსყიდველი უფლებამოსილია ანგარიშსწორებისას მიმწოდებელს გამოუქვითოს პირგასამტეხლოს სახით მასზე დარიცხული თანხა.
9.4. პირგასამტეხლოს გადახდა არ ანთავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
9.5. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულებისათვის ხელშეკრულების შეწყვეტის ან/და ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება ჯარიმა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5 %-ის ოდენობით.

მუხლი 10. დაუძლეველი ძალა

10.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია დაუყონებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ თავისუფლდება ნაკისრი ვალდებულების შესრულებისაგან;
10.2. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორს-მაჟორული გარემოებების დასრულებისთანავე.

მუხლი 11. სადავო საკითხების გადაწყვეტა

11.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე;
11.2. თუ მხარეები მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, მხარეებს უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 12. შეტყობინება

12.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალების (ელექტრონული ფოსტის) საშუალებით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

მუხლი 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. **წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2025 წლის 30 მაისის ჩათვლით პერიოდის განმავლობაში.**

მუხლი 14. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი“
შპს „ბათუმის წყალი“
ს. კ. 245556679
მის: ქ. ბათუმი, რ. თაბუკაშვილის ქ. №19
ს.ს. „საქართველოს ბანკი“
ბანკის კოდი: BAGAGE22
ანგ. GE31BG0000000543997592
ტელ: 577767689, 595009018
ელ. მის: info@bats.ge
გენერალური დირექტორი:
ალექსანდრე მჟავანაძე

„მიმწოდებელი“
შპს ,,ედისონ სთორი“
ს.კ. 406303646
მის: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. N9
ს.ს. „საქართველოს ბანკი“
ბანკის კოდი: BAGAGE22
ანგ. GE44BG0000000162603446
ტელ: 5596313000, 568212123
ელ.მის: store@edison.ge
დირექტორი:
ნიკოლოზ სიხარულიძე

Nikoloz Sikharulidze 01024077529
Digitally signed by Nikoloz Sikharulidze
Date: 2025.01.20 16:19:03

დანართი N1

ფასების ცხრილი

№	საქონლის დასახელება და ტექნიკური მახასიათებლები	რაოდენობა	წარმოშობის ქვეყანა	მწარმოებელი ან/და სასაქონლო ნიშანი	განზომილების ერთეული	ერთეულის ფასი
1	ძალოვანი ტრანსფორმატორი (ზეთოვანი) 1.1 10/0.4 კვ 250 კვა 1.2 სიგანე: 0.90 მ. 1.3 შეერთების სქემა: ვარსკვლავი სამკუთხედზე	1,00	ჩინეთი	Shandong Zhifeng Transformer Co., Ltd	ცალი	14780,00
2	ძალოვანი ტრანსფორმატორი (ზეთოვანი) 2.1 10/0.4 კვ 160 კვა 2.2 სიგანე: 0.85 მ 2.3 შეერთების სქემა: ვარსკვლავი სამკუთხედზე	1,00	ჩინეთი	Shandong Zhifeng Transformer Co., Ltd	ცალი	10997,00
სულ ჯამი (დღგ-ს ჩათვლით):						25777,00

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტზე

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ქვემოთ მითითებული პირები ხელის მოწერით ადასტურებენ, რომ **ძალოვანი ტრანფორმატორების** შესყიდვის განხორციელებაში, სადაც მიმწოდებელი არის **შპს „ედისონ სთორი“** მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

შპს ,,ბათუმის წყალის“
გენერალური დირექტორი: ალექსანდრე მჟავანაძე